ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

2024 წლის 18 იანვარი

ქ. ხობი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 26 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას და მიულოცა ახალი 2024 წლის დადგომა, წარმატებები უსურვა, როგორც პირად ასევე სამსახურეობრივ საქმიანობაში. აღნიშნა, რომ 2023 წელი ნაყოფიერი წელი იყო და იმედი გამოთქვა, მიმდინარე წელი უკეთესი და ნაყოფიერი იქნებოდა როგორც მუნიციპალიტეტისთვის, ასევე ქვეყნისთვის.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში, არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის
სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0,

(კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია: მ. იოსავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოში განცხადებით იყო შესული, სხვადასხვა საკითხად დამატებოდა მისი მოხსენება, მაგრამ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ასევე მოითხოვა ერთ-ერთი სხდომის ჩანაწერი და წერილობით ეცნობა, რომ მოთხოვნილი ვიდეოჩანაწერი არ ინახებოდა. მისი განცხადებით, საკრებულოს ხელმძღვანელობა თავის სურვილის მიხედვით გასცემდა ნებართვას, სიტყვით გამოსვლის და საკრებულოს სხდომის ვიდეოჩანაწერის გაცემა-არ გაცემის თაობაზე, რომელიც არ იყო სამართლიანი და უნდა ემოქმედათ რეგლამენტის შესაბამისად.

ლ. შამათავა - საკრებულოს აპარატის უფროსი - გამომსვლელმა განმარტა, რომ როდესაც საკრებულოს წევრი მ. იოსავა განცხადებით შემოვიდა საკრებულოში, საკითხის დამატებასთან დაკავშირებით, ბიუროს სხდომა დამთავრებული იყო და საკრებულოს დღის წესრიგიც დამტკიცებული იყო, გამომდინარე აქედან, სხვადასხვა საკითხად ვერ დაემატებოდა მისი მოხსენება. „რაც შეეხება საკრებულოს წევრის მ. იოსავას სიტყვით გამოსვლებს საკრებულოს სხდომებზე, მას განცხადებების გარეშეც არასდროს შექმნია პრობლემა საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლის, როდესაც განცხადება დროულად იყო წარმოდგენილი მისი მოხსენების სხვადასხვა საკითხად დამატებაზე საკრებულოში სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით და კიდევ საკრებულოს აპარატთან მას ვერ ექნება პრეტენზია, რადგან მოთხოვნის შემთხვევაში ყველა მისთვის საინტერესო საკიტხი თუ დოკუმენტაცია დროულად მიუწოდებით აპარატიდან“ - განაცხადა ლ. შამათავამ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში, არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. ჩაბალუხა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: გ. ჩაბალუხა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში, არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი

ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკითხი დროულად არ იქნა მიწოდებული და არ იყო გაცნობილი, გამომდინარე აქედან მხარს ვერ დაუჭერდა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო, სხდომას ვერ ესწრებოდა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე (ბ. მამაცაშვილი), გამომდინარე აქედან, სთხოვა ამავე კომისიის წევრს (ა. ხურცილავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ა. ხურცილავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, „ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებაზე შპს ,,ბლექ სი პეტროლიუმისთვის“ თანხმობის მიცემის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მაისის N14 განკარგულების საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 45.15.22.020; დაზუსტებული ფართობი: 599 970.0 კვმ) ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის დამკვეთს მიეცა დავალება წარმოედგინა განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის პროექტი მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. გეგმარებით ტერიტორიაზე დაგეგმილია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა, საორიენტაციო წარმადობით 3 მლნ ტონა წელიწადში. ასევე გათვალისწინებულია ნედლეულისა და სარეალიზაციო პროდუქციის მიღების, შენახვისა და გადაზიდვის ობიექტების, ენერგომომარაგების ობიექტების, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოწყობა, ასევე განთავსდება ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები და ქარხნის სხვა ობიექტები. ზემო აღნიშნული განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის პროექტის წარმოდგენის შემდეგ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,

ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი ,,ხობის მუნიციპალიტეტის ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში, არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 1 (მ. იოსავა),

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N1 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარი შუშანია
5. მედეა თათარიშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. დოდო გაბუნია
9. ია ჯიშკარიანი
10. აკაკი მალანია
11. ბადრი რიჟამაძე
12. აკაკი ხურცილავა
13. გურიელ ქარდავა
14. კობა გერგაია
15. მოგელი ხუხია
16. ბექა ხარბედია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. ნინო ბოკუჩავა
20. ვეფხვია ფოცხორაია
21. ფელიქს წურწუმია
22. ჯანსუღი ჯიშკარიანი
23. მალხაზი იოსავა
24. მაკა ჩარტია
25. ფრიდონ კუკავა
26. სერგო ბერაია